12020-04-2-2-202012070934

N 04-2/12020
07/12/2020

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კახა კალაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სამშენებლო ღობეებზე გამოხატვის სხვადასხვა საშუალებების განთავსების გამო პირთა დაჯარიმების პრაქტიკის აღმოფხვრის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო კახა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მედიით გავრცელებული ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სამშენებლო ღობეებზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოებისა და პლაკატების განთავსების შედეგად, პირთა დაჯარიმების თაობაზე.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ წინამდებარე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ მსგავსი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის გამოხატვის თავისუფლების სტანდარტთან.

1. ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 16 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებმა მოძრაობა „სირცხვილის“-ს აქტივისტების, სალომე ნიკოლეიშვილის, დაჩი იმედაძის, ზურაბ ბერძენიშვილის და ავთანდილ მენთეშაშვილის მიმართ შეადგინეს №002365, №002105, №002364 და №002431 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება)[1] საფუძველზე.

მათგან, №002365, №002105 და №002364 ოქმებში მიეთითა, რომ სალომე ნიკოლეიშვილის, დაჩი იმედაძის და ზურაბ ბერძენიშვილის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა გამოიხატა პეკინის გამზ. №30-ში არსებული ღობის ფასადზე წარწერის თვითნებურ შესრულებაში. ხოლო №002431 ოქმში აღინიშნა, რომ ავთანდილ მენთეშაშვილმა გუდიაშვილის შესახვევში არსებულ ღობეზე თვითნებურად განახორციელა წარწერები/მოხატვა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში.

იმავე დღეს, სოციალურ ქსელსა და მედიაში გავრცელებული ვიდეომასალის შესაბამისად, იკვეთება, რომ მითითებული 4 სამართალდარღვევის ოქმის გამოწერა განხორციელდა აქტივისტების მხრიდან სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე (შემდგომში - სამშენებლო ღობეები) წარწერის - „გვახსოვს რა ჩაიდინეთ გასულ ზაფხულს - 20 ივნისი“ განთავსების გამო.[2]

2020 წლის 29 ივნისს, ავთანდილ მენთეშაშვილმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინა №19/01201811063-01 საჩივარი №002431 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/საჯარიმო ქვითრის გაუქმების მოთხოვნით.[3] წარმოდგენილი საჩივრით, ავთანდილ მენთეშაშვილი, მათ შორის, სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, თუ რამდენად შესაძლებელია დროებითი სამშენებლო ღობის იერსახის შენარჩუნება წარმოადგენდეს სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს და შესაბამისად, რამდენად კრძალავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლი მასზე გამოხატვის საშუალების განთავსების შესაძლებლობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2020 წლის 11 აგვისტოს №1029 ბრძანების შესაბამისად, ავთანდილ მენთეშაშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით შეფასება არ მისცემია იმ გარემოებას, რომ სადავო წარწერები განთავსებული იყო სამშენებლო ღობეზე, რაც დროებით კონსტრუქციას წარმოადგენს.

2020 წლის 27 აგვისტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომელმა პოლიტიკური პარტია „გირჩის“ წევრის, მირიან ბეჟიტაშვილის მიმართ შეადგინა №003145 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2] მუხლის საფუძველზე. ოქმში მიეთითა, რომ

---

[1] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, აკრძალულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილებზე, პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება.

[2] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3hDRBQ3>, <https://bit.ly/2CcZiMH>, <https://bit.ly/3ftAWfS> [ბოლოს ნანახია: 04.11.2020].

[3] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 სექტემბრის №10-0120251328 წერილი.

სამართალდარღვევის ჩადენა გამოიხატა რუსთაველის №17-ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში ნახატის თვითნებურ განთავსებაში.[4]

მედიით გავრცელებული ვიდეომასალით იკვეთება, რომ მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებმა მირიან ბეჟიტაშვილის მიმართ ზემოხსენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინეს რუსთაველის თეატრის მიმდებარედ არსებულ სამშენებლო ღობეზე სტენსილის (პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ლოგო) დახატვისთვის.[5]

აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს დაუდასტურა, რომ ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად მიჩნეულ იქნა სამშენებლო ღობეებზე განხორციელებული გამოხატვა.[6] უწყების განმარტებით, „მოცემულ ნორმაში მოხსენიებული ღობე გულისხმობს ნებისმიერ ღობეს და ნორმაში აღნიშნული ნებისმიერი მოქმედების თვითნებურად განხორციელება ღობეზე წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას“.

გარდა ზემოხსენებული შემთხვევებისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ცნობით, სამშენებლო ღობეებზე პლაკატების განთავსებისა და წარწერების/ნახატების შესრულების შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლის საფუძველზე, 2020 წლის 1 ივლისს, 8 აგვისტოს, 9 აგვისტოს, 24 აგვისტოს, 25 აგვისტოს, 26 აგვისტოს, 27 აგვისტოს, 30 აგვისტოს, 4 სექტემბერს და 23 სექტემბერს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №003064, №003013, №003019, №003020, №003115, №003116, №003117, №003118, №003122, №003129, №003130, №003131, №003126, №003140, 003127, №003141, №003143, №003144, №003147, №003148, №003149, №003150, №003151, №003493, №003494, №003495 და №003152 ოქმები.[7] როგორც წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, გარდა ერთი შემთხვევისა (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №003064 ოქმი)[8], უწყებამ სამართალდარღვევად მიიჩნია სამშენებლო ღობეებზე პოლიტიკური პარტიების („ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი” და „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“) პლაკატების განთავსება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათგან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №003152 ოქმი შედგა პოლიტიკური პარტიის („შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“) პლაკატების განთავსების გამო წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაწყების (1 სექტემბერი)[9] შემდეგ - 2020 წლის 17 სექტემბერს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური

---

[4] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 29 ოქტომბრის №17-01203032492 წერილი.

[5] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.girchi.com/ge/media/news/4604-qvelaze-dzviriani-stensili-cinasaarchevnod> [ბოლოს ნანახია: 04.11.2020].

[6] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 29 ოქტომბრის №17-01203032492 წერილი.

[7] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 29 ოქტომბრის №17-01203032492 წერილი.

[8] აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეეხებოდა რუსთაველის გამზ. №8-ის მიმდებარედ არსებულ სამშენებლო ღობეზე წარწერის თვითნებურ შესრულებას.

[9] იხ. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://cesko.ge/geo/static/3345/saarchevno-ghonisdziebata-grafiki> [ბოლოს ნანახია: 24.11.2020].

ინსპექციის განმარტებით, წინასაარჩევნო პერიოდში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია როგორც სამშენებლო ღობეებზე, ასევე ზოგადად ღობეებზე, მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯებისთვის, იმ ადგილებზე, სადაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის №63-98 დადგენილებით.[10]

საქმისწარმოების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 2020 წლის 18 აგვისტოს და 2020 წლის 21 აგვისტოს, ირაკლი აბესაძის, გიორგი უგულავას, სერგი კაპანაძის და სხვების წარმომადგენლებმა, ანა ჯიქურიძემ და ავთანდილ იაკობიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინეს №19/0120231736-01 და №19/01202342376-01 საჩივრები, მათ შორის, №003013, №003019, №003020, №003116, №003117, №003118 და №003122 სამართალდარღვევის ოქმების/საჯარიმო ქვითრების ბათილად ცნობის მოთხოვნით.[11] აღნიშნული საჩივრები არ დაკმაყოფილდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2020 წლის 4 სექტემბრის №1154 ბრძანების შესაბამისად.

2. სამართლებრივი დასაბუთება:

2.1 გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო:

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობას და მიუთითა, რომ აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.[13]

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრის, აგრეთვე მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია,[14] რაც მოიცავს სასურველი ფორმით და საშუალებით ინფორმაციის მიმოცვლას განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ პირთა ჯგუფთან.[15] მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[16] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[17]

---

[10] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 29 ოქტომბრის №17-01203032492 წერილი.

[11] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №10-01202697 წერილი.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *İ.A. v. Turkey*, პარ. 23.

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II, ბ.26.

[14] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი ქ და პუნქტი 2.

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე *„ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“*, II. ბ.9.

[16] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტირების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის გზით.[18]

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ ფორმებსა და საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.[19] ასეთ ფორმებს განეკუთვნება სასაუბრო, წერილობითი, ჟესტიკულაციური და სხვა არავერბალური კომუნიკაცია, ხოლო მისი გავრცელების საშუალებები მოიცავს წიგნებს, ბეჭდვით მედიას, სამაუწყებლო საშუალებებს, ბროშურებს, პოსტერებს, ბანერებს, ვიზუალურ გამოსახულებებს, აგრეთვე, ინფორმაციისა და აზრის გავრცელების სხვა საშუალებებს.[20] აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ლოზუნგებისა თუ პლაკატების მეშვეობით აზრის გამოხატვა კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გავრცელებული ფორმაა.[21]

ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ წინამდებარე დოკუმენტის პირველ თავში მითითებული პირების მიერ წარწერების, ნახატების, სიმბოლოებისა და პლაკატების განთავსება სამშენებლო ღობეებზე ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, ხოლო ამ ქმედებების შეზღუდვა და მის საპასუხოდ, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება, ხსენებული უფლების შეზღუდვას უტოლდება.

2.2. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტი:

გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად მისი ღირებულებისა, არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დასახელებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[22] უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობები გაწერილია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და

---

[17] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

[18] დამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3cxa2Sr> [ბოლოს ნანახია: 04.11.2020]; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2XOec35> [ბოლოს ნანახია: 04.11.2020].

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე *„მპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“*, II.პარ.56.

[20] იქვე. იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12; იხ. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე *„ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II.პარ.7.

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე *„ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II.პარ.7.

[22] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5.

ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა[23] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის[24] თანახმად.

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებაში ჩარევის მართლზომიერება მოწმდება შემდეგი სამ-საფეხურიანი სქემის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის/ინტერესის დაცვას; 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი სტანდარტი ასახულია აგრეთვე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონში.[25]

განსახილველ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვა/შენარჩუნება წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შენობა-ნაგებობათა იერსახის შენარჩუნება, მათი ესთეტიკური, ტურისტული ან ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, განსაკუთრებულად ფასეული სიკეთეა, რომლის უგულებელყოფის შემთხვევაში, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს სხვა მცხოვრებთა პირადი სივრცე, შემცირდეს საცხოვრებელი/ტურისტული დანიშნულების ზონების ღირებულება და, საბოლოოდ, გაუარესდეს კონკრეტული სივრცით მოსარგებლე პირთა ცხოვრების ხარისხი.[26] აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მითითებით, შენობა-ნაგებობათა იერსახეზე ზემოქმედებით გამოწვეული ზიანი აისახება საზოგადოების სხვა წევრთა უფლებებზე, ისარგებლონ საჯარო სივრცით, ხოლო მსგავსი ქმედების ამკრძალავი ნორმა ემსახურება ბუნებრივი და კულტურული გარემოს, როგორც საჯარო სივრცის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტის დაცვას.[27]

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი ეჭვქვეშ არ აყენებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი ღირებული კონსტიტუციური სიკეთეა, რომლის დასაცავად დასაშვებია უფლების შეზღუდვა.

მიუხედავად ამისა, ლეგიტიმური მიზნის არსებობა იმთავითვე არ განაპირობებს ნორმის გამოყენებით უფლებაში ნებისმიერი სახის ჩარევის მართლზომიერებას. ამგვარი დასკვნის გაკეთებისთვის, თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ უფლების მსგავსი შეზღუდვა - სამშენებლო

---

[23] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

[24] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

[25] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 8.

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე *„ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*, II.პარ.20.

[27] *იქვე*, II.პარ.21.

ღობეებზე (და არა ღობეებზე) წარწერების, ნახატების, სიმბოლოების ან პლაკატების განთავსებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება - ხდება რეალური აუცილებლობის პირობებში.[28]

2.2.1. რამდენად უზრუნველყოფს სამშენებლო ღობეებზე გამოხატვის სხვადასხვა საშუალებების განთავსების გამო პასუხისმგებლობის დაკისრება ღირებული ლეგიტიმური ინტერესის დაცვას

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელი არის გათვალისწინებული *ა.* გარკვეულ ობიექტებზე, მათ შორის, ღობეებზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულებისთვის; და *ბ.* პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსებისთვის ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი ზომაა გათვალისწინებული ზემოხსენებული ქმედებების კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ჩადენისთვის.

წინამდებარე საქმის განხილვისას, გამოიკვეთა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლით გათვალისწინებულ „ღობედ“ განიხილავს სამშენებლო ღობესაც და ადმინისტრაციული სანქციის შეფარდებას ახდენს მასზე წარწერების, ნახატების და სიმბოლოების შესრულებისთვის. ამავდროულად, უწყება სამშენებლო ღობეებს მიიჩნევს ადგილებად, რომელიც არ არის გამოყოფილი პლაკატების განთავსებისთვის და სამართალდარღვევად განიხილავს მათზე პოლიტიკური შინაარსის პლაკატების განთავსებას არასაარჩევნო პერიოდში.

საგულისხმოა, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისთვის არ კმარა ქმედების სამართალდარღვევად მიჩნევის ფორმალური წინაპირობების გამოკვეთა, არამედ საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის[29] გათვალისწინებით, უწყება აგრეთვე ვალდებულია, შეაფასოს, შედეგად ხომ არ ხდება კონსტიტუციითა და საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებული გამოხატვის ფუნდამენტური უფლების ხელყოფა. სწორედ ამიტომ, სათანადოდ უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ რამდენად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სამშენებლო ღობეებზე გამოხატვის სხვადასხვა საშუალებების განთავსების გამო პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება და ამგვარად, მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „აუცილებლობის“ დასადასტურებლად, უნდა დადგინდეს, რამდენად წარმოადგენს უფლების მზღუდავი ღონისძიება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას და რამდენად აკმაყოფილებს მისი გამოყენების დასაბუთება რელევანტურობისა და საფუძვლიანობის მოთხოვნებს.[30] მსგავსად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობა ფასდება თანაზომიერების

---

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II.პარ.9.

[29] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Sekmadienis ltd. v. Lithuania*, პარ. 71-72; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

პრინციპის გამოყენებით, რაც გულისხმობს, რომ უფლების მზღუდავი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას.[31]

თავის მხრივ, უფლების მზღუდავი ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას, უნდა დადგინდეს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი ლეგიტიმურ მიზანსა და შესაბამისი ნორმით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის - რამდენად იძლევა იგი დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[32]

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვის ინტერესი გულისხმობს ***მუნიციპალიტეტის განვითარებას ერთიანი, შეთანხმებული პროცესის/გეგმის პირობებში,*** როდესაც მუნიციპალიტეტის იერსახის ცვლილებისა და სივრცითი დაგეგმარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ უფლებამოსილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.[33]

სწორედ ამ ინტერესის უზრუნველსაყოფად ახდენს საქართველოს კანონმდებლობა შენობა-ნაგებობების შესაბამის კლასებად დაყოფას[34] და თითოეული მათგანის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის (მშენებლობის შეტყობინება ან მშენებლობის ნებართვა) განსაზღვრას.[35] ასეთი რეგულირების საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ითანხმებს, მათ შორის, შენობა-ნაგებობის ესთეტიკურ მახასიათებლებს, რაც მოიცავს ფასადებზე გამოყენებულ ძირითად მოსაპირკეთებელ მასალასა და მათ ფერებს.[36]

გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობის თანახმად, ღობე წარმოადგენს მიწის ნაკვეთების გამმიჯნავ ხაზობრივ ნაგებობას, რომელიც შეიძლება მდებარეობდეს როგორც საკადასტრო საზღვარზე (საზიარო ღობე), ისე მიწის ნაკვეთის საზღვრებში.[37] ღობე, მისი პარამეტრების გათვალისწინებით, შესაძლებელია, წარმოადგენდეს I ან II კლასის შენობა-ნაგებობას,[38] რომლის მშენებლობისთვის, საჭიროა თვითმმართველობის ორგანოს თანხმობა, მათ შორის, ესთეტიკურ მხარესთან დაკავშირებით.

---

[31] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე *„დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II.პარ.60; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე *„ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II.პარ.17.

[32] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II.პარ.48.

[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე *„ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II.პარ.24.

[34] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 96; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“, დანართი №1.

[35] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 93 და მუხლი 94.

[36] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 106, მუხლი 113; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“, მუხლი 22, მუხლი 12, ნაწილი 2, „ე“ ქვეპუნქტი, მუხლი 13, ნაწილი 1, „ი“ ქვეპუნქტი.

[37] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“, მუხლი 2, „ჰ[28]“ ქვეპუნქტი.

[38] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“, დანართი №1, „I კლასის შენობა-ნაგებობებისა და მშენებლობის განმსაზღვრელი მახასიათებლები“, „გ“ ქვეპუნქტი; „II კლასის შენობა-ნაგებობის განმსაზღვრელი მახასიათებლები“, „გ“ ქვეპუნქტი.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლის მიზანია, გამოხატვის სხვადასხვა საშუალებების განთავსებისგან დაიცვას იმგვარი შენობა-ნაგებობები (მათ შორის, იმგვარი ღობეები), რომელთა ესთეტიკური მახასიათებლებიც წინასწარ შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან მუნიციპალიტეტის იერსახის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების საჯარო ინტერესის გათვალისწინებით. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ სწორედ მსგავსი შენობა-ნაგებობები ქმნიან მუნიციპალიტეტის იერსახეს, ხოლო მითითებული ნორმით მათი დაცვის უზრუნველყოფა ღირებული ლეგიტიმური მიზნის დაცვის საშუალებაა და აკმაყოფილებს გამოსადეგობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება სამშენებლო ღობეს, ის არსობრივად განსხვავდება იმ კონსტრუქციისგან, რომლებსაც სამშენებლო კანონმდებლობა „ღობის“ ცნების ქვეშ აქცევს. სამშენებლო ღობის განთავსება, რაც დროებითი ღონისძიებაა, განპირობებულია მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტებზე შესასრულებელი სამუშაოების უსაფრთხოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად.[39] აღნიშნული ინტერესის დაცვისთვის, მშენებლობის ნებართვის მისაღებად, უფლებამოსილ ორგანოს წარედგინება მშენებლობის ორგანიზების პროექტი,[40] რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული მშენებლობის განხორციელების პირობები[41] და რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს ინფორმაციას სამშენებლო მოედნის ორგანიზების, აგრეთვე სამშენებლო მოედნის[42] გეგმის (მათ შორის, დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილების ჩვენებით) შესახებ.[43]

თავის მხრივ, სამშენებლო მოედნის ორგანიზების წესი, რაც მოიცავს მისი შემოღობვის პირობებს, დადგენილია შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით, რომელიც სამშენებლო ღობეების მიმართ მხოლოდ იმგვარი ტექნიკური სახის მოთხოვნებს განსაზღვრავს, რაც აუცილებელია მშენებლობისა და პირთა უსაფრთხოების დასაცავად და არა ასეთი დროებითი კონსტრუქციების სათანადო ესთეტიკური მახასიათებლების უზრუნველსაყოფად.[44]

ნიშანდობლივია, რომ ეროვნული კანონმდებლობა განსხვავებულ წესს ადგენს მიწის ნაკვეთის შემოღობვისთვის, რომლის მიზანსაც განათებულობის, განიავების, ***დასახლების იერსახის ესთეტიკურობის შენარჩუნების*** და სხვა საჯარო ინტერესების დაცვა წარმოადგენს.[45] ამასთან, კანონმდებელი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მსგავსი რეგულირება არ შეეხება სამშენებლო მოედნის დროებითი ღობით შემოღობვას, რითიც ხსენებული კონსტრუქციების სახეებს მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან.

---

[39] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 1, ნაწილი 1 და მუხლი 2.

[40] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 106, ნაწილი 1, „ე“ ქვეპუნქტი.

[41] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 3, „ხ“ ქვეპუნქტი.

[42] მშენებლობის ორგანიზების პროექტით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მათი მომსახურებისათვის.

[43] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“, მუხლი 18.

[44] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 2.

[45] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 77; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“, მუხლი 45 და მუხლი 46.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამშენებლო ღობეები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ღობეებისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთიანი იერსახის ნაწილს. ამდენად, მათზე წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თუ გამოხატვის სხვა საშუალებების განთავსებისთვის ხსენებული მუხლის საფუძველზე სანქციის შეფარდება ვერ იქნება მიჩნეული ღირებული ლეგიტიმური მიზნის - მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვის გამოსადეგ საშუალებად.

რაც შეეხება „საამისოდ გამოყოფილ ადგილებს“, აღნიშნული მოიაზრებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ წინასწარ გამოყოფილ ან სხვაგვარად შეთანხმებულ ადგილს, სადაც ქალაქის ურბანული დაგეგმარებიდან, ქალაქის იერსახის დაცვისა და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე, პლაკატების განთავსება დასაშვებია.[46] დღეის მდგომარეობით, ნორმატიულ დონეზე, არ არის განსაზღვრული ლოკაციები თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც სტანდარტულად, არასაარჩევნო პერიოდში, შესაძლებელია ნებისმიერი შინაარსის პლაკატების განთავსება წინასწარი ნებართვის გარეშე. რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდს, საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული აგიტაციის სათანადოდ ჩატარების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაზღვრულია ადგილები, სადაც სააგიტაციო მასალის (მათ შორის, პლაკატების) განთავსება დასაშვებია.[47]

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლი ქმნის ფორმალურ საფუძველს, ნებისმიერი შინაარსის პლაკატების განთავსება არასაარჩევნო პერიოდში, ხოლო არასააგიტაციო პლაკატების განთავსება წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაექვემდებაროს უფლებამოსილი ორგანოსთვის მიმართვას და მისგან შესაბამისი ნებართვის მიღებას სამშენებლო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.[48] ნორმის მოქმედი რედაქციის ასეთი გაგება კი, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პლაკატების განთავსების შესაძლებლობით სარგებლობას სრულად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვრცელ დისკრეციულ ნებაზე ხდის დამოკიდებულს და ქმნის ალბათობას, რომ მსგავსი შესაძლებლობის განხორციელება პრაქტიკაში შეუძლებელი გახდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემოხსენებული ნორმის ფართო განმარტების პირობებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სახეზეა გამოხატვის თავისუფლების საკმაოდ ინტენსიური შეზღუდვა, რომელიც შესაძლოა, გამართლდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი, წონადი ინტერესის დაცვის საჭიროებით.[49] თავის მხრივ, რამდენადაც წინამდებარე დოკუმენტში უკვე გამოიკვეთა, რომ სამშენებლო ღობეები არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთიანი იერსახის ნაწილს, მათზე პოლიტიკური ან სხვა შინაარსის პლაკატების განთავსების აკრძალვა, თუნდაც არასაარჩევნო პერიოდში, ვერ იქნება გამართლებული მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვის ლეგიტიმური ინტერესის უზრუნველსაყოფად.

ამდენად, სამშენებლო ღობეზე პლაკატების განთავსებისთვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება იმ საბაბით, რომ ის არ წარმოადგენს საამისოდ გამოყოფილ ადგილს, ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას მუნიციპალიტეტის იერსახისა და გამოხატვის

---

[46] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე *გესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,* II.პ.14.

[47] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის №63-98 დადგენილება „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, მუხლი 3.

[48] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე *გესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,* II.პ.33.

[49] *იქვე,* II.პ.35.

თავისუფლების დაცვის შემხვედრ ინტერესებს შორის და იწვევს უფლების არათანაბარზომიერ შეზღუდვას.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რამდენადაც დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლის პირველ ნაწილში მოაზრებულ იქნას გამოხატვის საშუალებების განთავსება სამშენებლო ღობეებზე, აღნიშნული ქმედებისთვის პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება გაუმართლებელია აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა კულტურული მემკვიდრეობის ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში განსაზღვრული ტერიტორიაა, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და *რომლის დანიშნულებაა, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არასასურველი ზეგავლენისგან.*[50] თავის მხრივ, კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს იმგვარ ობიექტებს, რომლებსაც განსაკუთრებული მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული ან მემორიალური ღირებულება გააჩნიათ და დაკავშირებულნი არიან ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან.[51] აღნიშნული ცხადყოფს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში მუნიციპალიტეტის იერსახის შენარჩუნების მომეტებულ ინტერესს მის ფარგლებში არსებული ობიექტების განსაკუთრებული დანიშნულება განაპირობებს, რომელთა შორის დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია სამშენებლო ღობეების მოაზრება.

2.2.2. რამდენად კანონიერია ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება სამშენებლო ღობეებზე სააგიტაციო მასალის განთავსების წინასაარჩევნო პერიოდში

საქმისწარმოების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მხრიდან მოწოდებული დოკუმენტაციით, აგრეთვე გამოიკვეთა, რომ უწყებამ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (№003152) შეადგინა სამშენებლო ღობეზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაწყების (1 სექტემბერი) შემდეგ, პოლიტიკური პარტიის[52] პლაკატების განთავსების გამო.

მუნიციპალური ინსპექციის განმარტებით, წინასაარჩევნო პერიოდში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია სამშენებლო ღობეებზე მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯებისთვის, იმ ადგილებზე, სადაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის №63-98 დადგენილებით.

წინამდებარე დოკუმენტში უკვე დადასტურდა, რომ სამშენებლო ღობეები არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთიანი იერსახის ნაწილს და ამდენად, მათზე პლაკატების განთავსების აკრძალვა არ შეიძლება უზრუნველყოფდეს მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯების თავიდან აცილებას. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სპეციალურ მოწესრიგებაზე, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის განსაკუთრებულ რეჟიმს ადგენს.

---

[50] „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, „კ“ ქვეპუნქტი.
[51] „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, „ლ.ა.“ ქვეპუნქტი.
[52] „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.

კერძოდ, წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) სათანადოდ ჩატარების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის 8 სექტემბრის №63-98 დადგენილებით, განსაზღვრა შენობა-ნაგებობები, რომლებზეც აკრძალულია სააგიტაციო მასალის (მათ შორის, პლაკატების) გაკვრა და ადგილები, სადაც მსგავსი ქმედების განხორციელება დასაშვებია.[53]

ამავე დადგენილებაში აგრეთვე აღინიშნა, რომ გარდა სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის განსაზღვრული ადგილებისა, მსგავსი მასალის გაკვრა დასაშვებია სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე. გასათვალისწინებელია, რომ სამშენებლო ღობეებთან დაკავშირებით, ასეთი გამონაკლისი არსებობდა აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-38 დადგენილების შესაბამისადაც, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში, სააგიტაციო მასალის განთავსების საკითხს 2020 წლის 10 სექტემბრამდე არეგულირებდა.[54]

ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამშენებლო ღობეებს საგანგებოდ განსაზღვრავს ისეთ ობიექტად, რომელსაც სააგიტაციო მასალის განთავსების ადგილთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ეხება. ასე რომც არ ყოფილიყო, №63-98 დადგენილებით დაწესებული აკრძალვა ეხება შენობა-ნაგებობებს, რომლებშიც, წინამდებარე დოკუმენტის 2.2.1 ქვეთავში ასახული დასაბუთების გათვალისწინებით, არ მოიაზრება სამშენებლო ღობეები.

ამდენად, წინასაარჩევნო პერიოდში, სამშენებლო ღობეზე პლაკატების განთავსებისთვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამავდროულად, წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების არათანაბარზომიერ შეზღუდვას.

3. დასკვნა:

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პირთა დაჯარიმება სამშენებლო ღობეებზე გამოხატვის სხვადასხვა საშუალების განთავსების გამო წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების სტანდარტთან და იწვევს უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.

ამდენად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

- წინამდებარე შეფასების გათვალისწინებით, ჩაატაროთ ადმინისტრაციული წარმოება იმ საკითხის შესაფასებლად, თუ რამდენად კანონიერია სამშენებლო ღობეებზე წარწერების, ნახატების, სიმბოლოებისა და პლაკატების განთავსებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლის საფუძველზე და შესწავლის შედეგების მიხედვით, ბათილად ცნოთ ან/და შესაბამისი ცვლილებები შეიტანოთ №002365, №002105, №002364, №002431, №003145, №003064, №003013, №003019, №003020, №003115, №003116, №003117, №003118, №003122, №003129, №003130, №003131, №003126, №003140, 003127, №003141, №003143, №003144, №003147, №003148, №003149,

[53] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის №63-98 დადგენილება „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, მუხლი 1 და მუხლი 3.

[54] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-38 დადგენილება „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, მუხლი 3.

№003150, №003151, №003493, №003494, №003495 და №003152 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2020 წლის 11 აგვისტოს №1029 და 2020 წლის 4 სექტემბრის №1154 ბრძანებებში;

- მომავალში, არ განახორციელოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^2-ე მუხლის საფუძველზე პირთათვის ადმინისტრაციული სანქციის შეფარდება სამშენებლო ღობეებზე გამოხატვის სხვადასხვა საშუალების განთავსებისთვის.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, სახალხო დამცველის აპარატს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.